



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
2026 წლის ბიუჯეტის
პროექტის

მოქალაქის გზამკვლევი

სარჩევი

შესავალი.....	3
რა არის მოქალაქის გზამკვლევი.....	3
მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები და ბიუჯეტი	4
□ თვითმმართველობის ორგანოები.....	4
□ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები.....	4
□ ადგილობრივი ბიუჯეტი.....	6
საბიუჯეტო პროცესი.....	8
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი.....	11
მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები	13
მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები 2026 წლისთვის.....	17
□ შემოსულობები.....	17
შემოსავლები.....	19
გადასახდელები	20
ხარჯები	22
მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები.....	23
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	24
დასუფთავება და გარემოს დაცვა	24
განათლება.....	24
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	24
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	25
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.....	27

შესავალი

რა არის მოქალაქის გზამკვლევი

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები¹.

მოქალაქეებს აქვთ უფლება ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები (პრიორიტეტების დოკუმენტი, პროგრამული ბიუჯეტი) იქმნებოდეს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით. ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

წინამდებარე გზამკვლევი მოქალაქეს საშუალებას მისცემს, გაეცნოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, იცოდეს, რა საჭიროებების მიხედვით იხარჯება საჯარო ფინანსები და რა გავლენის მოხდენა შეუძლია თავად მას გადაწყვეტილების მიღებაზე. გზამკვლევაში მოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრებისა და 2027-2029 წლების პრიორიტეტები და დაგეგმილი პროგრამების საპროგნოზო მაჩვენებლები.

ამასთან, გზამკვლევაში წარმოდგენილია საბიუჯეტო პროცესისა და ბიუჯეტის ეტაპების შესახებ ინფორმაცია, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს იცოდნენ, როდის იწყება მუნიციპალიტეტში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა და რა დროს იქნება უკეთესი და ეფექტური მისი ჩართულობა.

¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014 წ., მუხლი 2, პუნქტი 1.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები და ბიუჯეტი

იმისათვის, რომ ბიუჯეტირების პროცესში ჩავერთოთ და მომავალი წლის ბიუჯეტიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების დაფინანსება მოვითხოვოთ, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, თვითმმართველობის რომელ ორგანოს როდის და რა საკითხებზე უნდა მივმართოთ და რის გაკეთება შეუძლია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

➤ თვითმმართველობის ორგანოები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით².

❖ **საკრებულო** - წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც *ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე;*

საკრებულო კოლეგიური ორგანოა, სადაც გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით მიიღება, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

❖ **მერი** - აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც *ანგარიშვალდებულია მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე;*

✓ **მუნიციპალიტეტის მერია** არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას და მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდებას. თავის მხრივ, კი საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირება და კონტროლი. საკრებულო კონტროლს უწევს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ისმენს და აფასებს თანამდებობის პირთა საქმიანობის ანგარიშებს.

➤ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებია³:

➤ **ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა/მოწესრიგება:**

² საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ. მუხლი 74, პუნქტი 1.

³ ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014 წელი, მუხლი 16.

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;
- სოფლების წყალმომარაგება (ქალაქების წყალმომარაგებას უზრუნველყოფს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)
- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე განათება;
- საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა - სკვერები, პარკები;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების ადაპტირება;

❖ *სკოლამდელი განათლება:*

- საბავშვო ბაღების მართვა;
- საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;

❖ *გარემოს დაცვა:*

- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ქუჩებისა და საზოგადოებრივი ობიექტების დაგვა-დასუფთავება;
- ტერიტორიის გამწვანება;
- მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა - პოპულაციის მართვა;

❖ *სპორტი და კულტურა:*

- სპორტული და კულტურული სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და კულტურის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;

❖ *სოციალური სფერო:*

- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა;

- ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, მუნიციპალიტეტს საკუთარი ინიციატივით შეუძლია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორც არის:

- ტურიზმის განვითარება;
- სოციალური დახმარება და ჯანმრთელობის დაცვა;
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა;
- მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და სხვა.

➤ ადგილობრივი ბიუჯეტი

ტერმინი „ბიუჯეტი“ ინგლისური სიტყვა „Budget“-ისგან მოდის და ტყავის ჩანთას, საფულეს ან ტომარას ნიშნავს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტი არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი ადგილობრივი ბიუჯეტია.

- ყველა მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის შემუშავებასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლება.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებისგან;
- მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);

- თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მუნიციპალიტეტის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში (საბიუჯეტო კოდექსი).

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:

- ✓ პრიორიტეტების დოკუმენტი;
- ✓ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (დანართებით: პროგრამული ბიუჯეტის დანართი, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი და ა(ა)იპ⁴-ების/სსიპ⁵-ების/შპს⁶-ების დანართი)

⁴ ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი


⁵ სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

⁶ შპს - სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოები

საბიუჯეტო პროცესი

ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი ორ წელსა და ორ თვეს მოიცავს. მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე - 1 მარტიდან იწყება და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 4 თვეში - 1 მაისამდე სრულდება, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებით.

ბიუჯეტირების ეტაპები



ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული.



ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა:

- ✓ 1 მარტს მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის დაწყების თაობაზე;
- ✓ ბრძანების თანახმად პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობს მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან მერი, მერის მოადგილე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი და სხვა დაინტერესებული პირები;
- ✓ პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიას სამუშაო ჯგუფი 15 აგვისტომდე წარუდგენს მერს. შემდეგ კი დოკუმენტის გადამუშავება ხდება;
- ✓ მერმა ბიუჯეტის პროექტი და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი საკრებულოს უნდა წარუდგინოს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა:

- ✓ საკრებულოს აპარატმა უნდა გამოაქვეყნოს ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება საკრებულოს ის კომისიები, რომელსაც გადაეცათ პროექტები განსახილველად, კომისიებსა და ფრაქციებში პროექტის განხილვის ვადები, კომისიებისა და ფრაქციების ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი, პროექტების საკრებულოს სხდომაზე გატანის დრო, საკრებულოს აპარატის მისამართი, სადაც შეიძლება წარდგენილი იქნეს მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარდგენის ვადა;
- ✓ საკრებულოს აპარატი ბიუჯეტის პროექტი წარდგენიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს ფინანსური დოკუმენტების გამოქვეყნებას საჯარო განხილვისთვის;
- ✓ პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტს განიხილავენ საკრებულოს კომისიები და ფრაქციები და ამზადებენ თავის რეკომენდაციებს, რომელსაც განიხილავს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და ამზადებს საბოლოო დასკვნას, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს;
- ✓ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომებს.
- ✓ საკრებულოს მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს საკრებულოს თავმჯდომარე წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;
- ✓ მერი ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს საკრებულოს შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად (რომელშიც აღინიშნება თითოეული შენიშვნა და ამ შენიშვნის მიღების ან უარყოფის დასაბუთება) არაუგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგენს საკრებულოს;
- ✓ ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენის შემდეგ საკრებულოში იწყება ბიუჯეტის პროექტის განხილვა (გამოქვეყნებიდან არაუადრეს ერთი კვირისა);
- ✓ საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება:

- ✓ საბიუჯეტო წლის 1 იანვარიდან იწყება ბიუჯეტის ხარჯვა;
- ✓ ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო;
- ✓ ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიძლება შევიდეს ცვლილება, რომელსაც საკრებულო ამტკიცებს;
- ✓ მერია ყველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ამზადებს კვარტალური შესრულების ანგარიშს და აგზავნის საკრებულოში;
- ✓ საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვეში მერიამ უნდა მოამზადოს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 1 მარტამდე წარუდგინოს საკრებულოს;
- ✓ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს;
- ✓ საკრებულომ უნდა განიხილოს ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში და 1 მაისამდე დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს.

ბიუჯეტირების პროცესი სამივე ფაზაში **თქვენი, როგორც მოქალაქის** ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში კი სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით შეგიძლიათ ჩაერთოთ. კერძოდ,

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება 1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე	• თქვენს დასახლებაში არსებული პრობლემების შესახებ მერიისა და საკრებულოსთვის ინფორმაციის მიწოდება • ინიციატივების დაყენება • პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობა • დისკუსიებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრებზე დასწრება
ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე	• ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონილეობა; • რეკომენდაციების მიწოდება; • საკრებულოს კომიტეტების სხდომაზე დასწრება • საკრებულოს სხდომაზე დასწრება
ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება 1 იანვრიდან	• ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი; • ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა; • ბიუჯეტის შესრულების შესახებ საკრებულოში განხილვებში მონაწილეობა; • მერის მიერ წლიური ანგარიშის წადგენაში მონაწილეობა და შეკითხვების დასმა;

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

	თარიღი/ვადა	აქტივობა
	1 მარტი	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.
მარტი	1 მარტი	მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის წესსა და წარდგენის ვადები
	1 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებაზე.
	1 მარტი - 5 მარტი	მერის სამართლებრივი აქტი რომელის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრა პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის წესსა, წარდგენის ვადები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
აპრილი	5 აპრილი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების I კვარტალის ანგარიშს (2025 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 აპრილი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2025 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და დარგობრივი სამსახურების და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 აპრილი - 30 აპრილი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2025 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს


	30 აპრილი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2025 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
	1 ივნისი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).
	1 ივლისი	პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და შიდა საბიუჯეტო კალენდრის შესახებ (სადაც განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა) გამოცემული სამართლებრივი აქტი და სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.
	5 ივლისი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 6 თვის ანგარიშს (2025 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 ივლისი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2025 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 ივლისი - 30 ივლისი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2025 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	30 ივლისი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2025 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე
აგვისტო	1 ივნისი - 1 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი არჩეული პრიორიტეტის ფარგლებში (შესაძლებელია პრიორიტეტი არ დაკონკრეტდეს) აცხადებს მოქალაქეებიდან ახალი ინიციატივების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვე-პროგრამებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით.
	1 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას, აფასებენ მოქალაქეთა წინადადებებს ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით. ითვალისწინებენ ან არ ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტური საფუძვლიანობიდან გამომდინარე და წარუდგენს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე.
	1 აგვისტო - 5 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად იხილავს წარმოდგენილ პროექტებს და შემდგომი რეაგირების მიზნით უგზავნიან შესაბამის სამსახურებს
	5 აგვისტო	საფინანსო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადებებს ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.
	5 აგვისტო	ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, ეგზავნებათ საბიუჯეტო ორგანიზაციებს და ისინი იწყებენ მუშაობას განაცხადის ფორმებზე
	5 აგვისტო - 15 აგვისტო	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2026-2029 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე. .
	20 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები შევსებულ განაცხადის ფორმებს დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წარუდგენენ საფინანსო სამსახურს
	25 აგვისტო	საფინანსო სამსახური, იხილავს წარმოდგენილი განაცხადის ფორმებს და ამზადებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შესახებ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
სექტემბერი	1 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის მერი ამტკიცებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას
	15 სექტემბერი	საფინანსო სამსახური საშუალოვადიან სამოქმედო გეგმისა და შევსებულ საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ამზადებს მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს (მათ შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემაში).
ოქტომბერი	1 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებითი ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით.
	5 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
	5 ოქტომბერი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 9 თვის ანგარიშს (2025 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 ოქტომბერი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2025 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2025 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	31 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2025 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე

	10 ნოემბრამდე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ სამუშაო ჯგუფისთვის პრიორიტეტების დოკუმენტისა და პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიების წარდგენა.
	15 ნოემბერი	თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) ბიუჯეტის პროექტს, პრიორიტეტების დოკუმენტს, პროგრამული ბიუჯეტის დანართს, წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ხოლო პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.
	15 ნოემბერი - 19 ნოემბერი	ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი რომელიც მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
	25 ნოემბერი	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს.
დეკემბერი	10 დეკემბერი	ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს.
	31 დეკემბერი	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
იანვარი	4 იანვარი	ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა საფინანსო სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.
იანვარი	5 იანვარი	საფინანსო ორგანო გასული წლებისა და სხვა საჭირო მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
	15 თებერვალი - 20 თებერვალი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 თებერვალი - 25 თებერვალი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
მარტი	25 თებერვალი - 1 მარტი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	1 მარტი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე

მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე *(მიმდინარე და გასული წლები, მაგალითად, 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია 2024 და 2025 წლების შესახებ)*, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში *(დასაგეგმი 2026 წელი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2027 2028 და 2029 წლები)* მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე.




საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის (2009 წ.) თანახმად, **ბიუჯეტი** არის საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (*გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა*) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მერმა საკრებულოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და 2026 წლის ბიუჯეტთან ერთად შემდეგი დოკუმენტები წარუდგინა:


- ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);
- კაპიტალური პროექტების დანართი
- ა(ა)იპ-ების/სსიპ-ების დანართი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში არის ინფორმაცია 2026 წელს დაგეგმილი და 2024 - 2025 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს საერთო სტრუქტურა აქვს და რამდენიმე თავისგან შედგება.



- ✓ **პირველ თავში**, რომელიც რამდენიმე მუხლს აერთიანებს, მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების შესახებ. დეტალურად არის განხილული შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია.



- **ბიუჯეტის მეორე თავში** მოცემულია პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები, ამასთან ბიუჯეტს ახლავს პროგრამული დანართი, სადაც დამატებით


მოცემულია პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები), ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;

- **ბიუჯეტის მესამე თავში** კი წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი **ასიგნებების შესახებ** (ასიგნება ნიშნავს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადახდის განხორციელების უფლებამოსილებას). ეს ინფორმაცია მოცემულია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები 2026 წლისთვის

❖ შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურსები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს ბიუჯეტის შემოსულობებს წარმოადგენს.



ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

- ❖ **შემოსავლები:** გადასახადები (ქონების გადასახადი და დღგ-დან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);
- ❖ **არაფინანსური აქტივების კლება** - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.

მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

- ✓ ძირითადი აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა)
- ✓ არაწარმოებული აქტივები (მიწა)

როდესაც მუნიციპალიტეტი შენობა-ნაგებობას ან მიწას ყიდის, მას ქონება აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოსდის, ამიტომ ქონების გაყიდვიდან მიღებულ თანხებს არაფინანსური აქტივების კლება ჰქვია.

- ❖ **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს.

კერძოდ, ვალდებულებებია:

საგარეო ვალი

საშინაო ვალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2026 წლისთვის 22 485 400 ლარია, აქედან შემოსავლები 22 475 400 ლარია, არაფინანსური აქტივების კლება 10 000 ლარი.


შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყაროა შემოსავლები. გადასახადები: ქონების გადასახადი, დღგ-დან მუნიციპალიტეტის წილი;

- ✓ გრანტები: საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტები; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები: მიზნობრივი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები;
- ✓ სხვა შემოსავლები: რენტა; პროცენტი; სხვადასხვა მოსაკრებლები; ჯარიმები და საურავები

2026 წლის პროგნოზით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები იქნება 22 475 400 ლარი.


2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლები (ათასი ლარი)



■ გადასახადები ■ სხვა შემოსავლები ■ გრანტები


გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები შეადგენს 19 804 400 ლარს (მთელი შემოსავლების 89 %).

გადასახადები (ათას ლარში)



■ გადასახადები (ათას ლარში)

სხვა შემოსავლებიდან მობილიზებული თანხების წილი ბიუჯეტის შემოსავლების 11%-ია.




აღსანიშნავია, რომ შემოსავლების მაჩვენებელი 2026 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან დაემატება ცენტრალური ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, ამ დროისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი 216 000 ლარია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები განსაზღვრულია 10 000 ლარით.

გადასახდელები


ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა ბიუჯეტის გადასახდელებს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის გადასახდელების 3 წყაროა:



- ❖ **ხარჯები:** ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები, საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, ა(ა)იპ-ების დაფინანსება, აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება, სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ **არაფინანსური აქტივების ზრდა** - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება; როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, ან 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდულობს, არაფინანსური აქტივები ეზრდება.
- ❖ **ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლით გადასახდელები შეადგენს 24 704 000 ლარს.




ხარჯები

მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით N99 (05.04.2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 22 446 000 ლარს.




მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით 6 პრიორიტეტული მიმართულება აქვს განსაზღვრული:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00);
- ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00);
- დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00);
- განათლება (პროგრამული კოდი 04 00);
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00);
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00);

2026 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით



ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3 070 000ლარი.

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - ამ ეტაპისთვის მხოლოდ 1 490 000 ლარია გათვალისწინებული და წლის განმავლობაში კაპიტალური ტრანსფერით არის დაგეგმილი გზების რეაბილიტაცია.
- წყლის სისტემის განვითარება - 440 000 ლარი;
- გარე განათება - 540 000 ლარი;
- მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 200 000 ლარი;
- კეთილმოწყობა 150 000;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამა 250 000;

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2 964 500 ლარი.

- დასუფთავების ღონისძიებები 2 584 500 ლარი;
- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება 363 000 ლარი;
- მიუსაფარი ცხოველების მოვლა პატრონობა 17 000;

განათლება

პრიორიტეტის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 4 522 800 ლარი.

- სკოლამდელი განათლება 3 991 100 ლარი;
- სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა 8 000 ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა 195 200 ლარი;
- სკოლისგარეშე განათლების პროგრამა 328 500 ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პრიორიტეტის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3 932 900 ლარი.

- სპორტის სფეროს განვითარება 1 445 000 ლარი
 - ✓ სპორტული ღონისძიებები 20 000 ლარი;

- ✓ სპორტის ხელშეწყობა 1 045 000 ლარი;
- ✓ სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა - 380 000 ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარება 2 198 900 ლარი
 - ✓ კულტურის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა 2 168 900 ლარი;
 - ✓ კულტურის ღონისძიების დაფინანსება 30 000 ლარი;
- მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა 140 000 ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 100 000 ლარი;
- ახალგაზრდობის მხარდაჭერა 49 000 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3 430 600 ლარი.

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 328 300 ლარი (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა)
- სოციალური პროგრამები 3 102 300 ლარი

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	600.0
შშმ პირთა დახმარება	107.0
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1,100.0
ლეიკემიით დაავადებული და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	75.0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	63.0
მარტოხელა მშობლების დახმარება	24.0
მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	60.0
ყოველთვიური დახმარება	80.0
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9.0
ხანდაზმულთა დახმარება	8.0
სადღესასწაულო დღეების დახმარება	100.0
სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	20.0
უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	20.0
ახალშობილთა ოჯახების დახმარება	35.0
გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1.0
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	250.0
უფასო სასადილო	337.3
სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	50.0

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	50.0
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	30.0
არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	78.0
პერსონალური ასისტენტის მომსახურება	5.0
სულ	3 102 300

- ❖ ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ფინანსურ დახმარებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან მატერიალურ ხელმოკლეობას. დახმარების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარისა.
- ❖ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება - ითვალისწინებს ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევისა და მომსახურების დაფინანსებას, კერძოდ:

- ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას არაუმეტეს 1000 ლარისა, იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება კერძო დაზღვევის ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.
- ონკოლოგიური და სხვა მძიმე სახის დაავადების შემთხვევაში (ოპერაციის, სამედიცინო კვლევის, მედიკამენტის შესაძენად) დახმარება გაიწევა არაუმეტეს 2000 ლარისა;
- სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება არაუმეტეს 500 ლარისა;
- იშვიათი დაავადების მქონე და მუდმივ მკურნალობას დაქვემდებარებული არასრულწლოვნების სპეციფიკური საკვებით უზრუნველყოფა არაუმეტეს 3000 ლარისა;
- ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად ეპილეფსიის დიაგნოზის მქონე პაციენტებში;
- ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად პარკინსონის დიაგნოზის მქონე პაციენტებში;
- ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად ბრონქიალური ასთმის და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციის დიაგნოზის მქონე პაციენტებში;
- ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა მედიკამენტის შესაძენად 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100001-ს.

- ❖ უფასო სასადილო - პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული სოციალურად დაუცველი მოხუცების, შშმპირების, მრავალშვილიანი ოჯახების მორალურ და ეკონომიურ მხარდაჭერას. მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას კვირაში ექვსი დღე ერთჯერადი კვებით დაბის ტერიტორიაზე (სადღესასწაულო დღეების ჩათვლით), ხოლო მუნიციპალიტეტის ოთხ ტერიტორიულ ერთეულში გამზადებული ცხელი საკვების მიწოდება კვირაში ორი დღე. ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება უკიდურესად გაჭირვებულ მოწყვლად ჯგუფებზე საკვები პროდუქტებით მომართვიანობის შემთხვევაში.

- ❖ სტიქიური მოვლენები - ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მიხედვით. დახმარება გაიწევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და/ან სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის დაზიანების კატეგორიების შესაბამისად. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკარო, განსახლებას დაქვემდებარებული, მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები და/ან ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით ან საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

❖ სადღესასწაულო დღეების დახმარება - ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს გაეწევათ დახმარება 200 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით. აუტიზმზე ცნობადობის ამაღლების და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით _ 200 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შეძენა. საკვები პროდუქტის შეძენა ან ფულადი დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით.

❖ შშმ პირთა დახმარება - ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა სხვადასხვა სახის დახმარებას, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე ასაკის პირებისთვის იმპლანტის აპარატის საჭირო ნაწილების შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის და/ან პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება წელიწადში არაუმეტეს 1200 ლარისა. 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მედიკამენტოზური და სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება არაუმეტეს 1400 ლარისა. შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ აქვს სოციალური შემწეობა, ყოველთვიური დახმარება თვეში 70 ლარის ოდენობით. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკის და თერაპიის დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა. შშმ პირთათვის სხვადასხვა სახის ღონისძიების მოწყობა, საჩუქრების შეძენა (ექსკურსია, საგანმანათლებლო-განმავითარებელი ღონისძიება და სხვ.)

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 6 783 200 ლარი.

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1 482 600 ლარი;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია 5 007 600 ლარი;
- კადრების მომზადება – გადამზადება 20 000 ლარი;
- სარეზერვო ფონდი 160 000 ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 50 000 ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -58 000 ლარი;
- ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს ხელშეწყობა 5 000 ლარი;